ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25) 2 მაისი 2011 წელი

ბრძანება №55

ალეკო მამეშვილის და მიხეილ ჩიგოგიძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე, 39-ე და 39[1] მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მივლინებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მიხეილ ჩიგოგიძე ლიტვაში ქალაქ როკიშკისში ქალაქის მერთან და რაიონული საავადმყოფოს დირექტორთან შეხვედრის მიზნით ამ/წ. 25 მაისიდან 27 მაისამდე, ხოლო ამ/წ. 27 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით ქალაქ პალანგაში სპორტისა და კულტურის საერთაშორისო დღეებზე მონაწილეობის მიღების მიზნით.

2. მივლინებაში ყოფნის პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ა. მექვაბიშვილს).

3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ალეკო მამეშვილს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს მიხეილ ჩიგოგიძეს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer